ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1024262

ნომერი: AR1181810

თარიღი : 02.12.2013

გაცემის თარიღი : 04.12.2013

გაცნობის თარიღი : 04.12.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ზემო ვაკის ქუჩის ბოლოში ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა ბრეგვაძე პ/ნ 01017006098
- თბილისი ს.ჭიაურელის ქ. N 14

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი 2013 წლის 2 დეკემბრის #AR1181810 განცხადების პასუხად gacnobebT, rom ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ზემო ვაკის ქუჩის ბოლოში საკადასტრო გეგმით #01.15.01.002.002 მიწის ნაკვეთზე უკვე გაცემულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, შეთანხმებულია პროექტი და გაცემულია შენებლობის ნებართვა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად, რომელიც უკვე დასრულებულია და მიღებულია ექსპლუატაციაში. გამომდინარე აქედან გაურკვეველია მოთხოვნის ტექსტის შესაბამის ველში დაყენებული მოთხოვნა მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე.

როგორც სამსახურში გდამოწმდა #AR1180809 განცხადებით საკითხი შემოტანილი იყო I კლასზე სამუშაოების ნებართვის მღებაზე კერძოდ: საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე ცარიელი სივრცის შევსება ვიტრინებით.

გამომდინარე აქედან თუ არსებობს ამონაწერი იმ ფართზე რისთვისაც გინდათ კარების მოწყობა და ეს ამონაწერი იქნება ავტოფარეხებზე და არ შეიცვლება ფუნქცია, წარმოადგინეთ შესაბამისი ესკიზი და ზემოთხსენებული ამონაწერი ავტოფარეხებზე და მიმართეთ სანებართო განყოფილებას.

თუ თქვენს გსურთ არსებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე სხვა სარეკონსტრუქციო სამუშაოების მიშენების ან დაშნების განხორციელება მოთხოვნა უნდა დააზუსტოთ აღნიშნული განცხადების დახარვეზებულ მოთხოვნის ტექსტის შესაბამის ველში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.